ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N20/07/23

ქ. თბილისი **2023 წ.**

ერთი მხრივ, **სსიპ "საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი" (ს/კ 205307960)**, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი **მისი დირექტორის - ალექსანდრე კუტიბაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს ,,ელიტ კრეატორი" (ს/კ 402195307),** შემდგომში ,,მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა ნიკოლაევას სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები," „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე, მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ტერმინთა განმარტებები

„ხელშეკრულებაში" გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") – „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებული „ხელშეკრულება", რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე სხვა დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში მინიშნებებია;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - თანხა, რომლის გადახდის ვალდებულება ეკისრება „შემსყიდველს" „მიმწოდებლის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის;

1.3. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს „საქონლის" მიწოდებას „ხელშკრულების" პირობების შესაბამისად;

1.5. „მხარეები" – „შემსყიდველი", რომელიც ახორციელებს შესყიდვას და „მიმწოდებელი", რომელიც ახორციელებს „საქონლის" მიწოდებას, „ხელშეკრულების" პირობების გათვალისწინებით;

1.6. „საქონელი/მომსახურება" – „ხელშეკრულების" მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი;

1.7. „ინსპექტირება" – „ხელშეკრულების" პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

1.8. დღე, კვირა, თვე – კალენდარული დღე, კვირა, თვე თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის" სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის მისაკრავი სტიკერების (თანმდევი მომსახურება/გაკვრა) ***(CPV 22459100 - სარეკლამო მისაკრავი ეტიკეტები/სტიკერები და ზოლები)*** სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. „შესყიდვის ობიექტის" დეტალური აღწერა, ტექნიკური მოთხოვნები, ესკიზები, რაოდენობა და ღირებულება, „ხელშეკრულებას" თან ერთვის დანართების (დანართი 1, 2, 3) სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. „ხელშეკრულების" ჯამური ღირებულება შეადგენს ***9.500.00 (ცხრა ათას ხუთასი)*** *ლარს.*

3.2. „ხელშეკრულების" საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ „მიმწოდებლის" ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. საგარანტიო ვადები და პირობები:

4.1 შესყიდვის ობოქტზე, გარდა მექანიკური დაზიანებისა (არ იგულისხმება კერხერის ზემოქმედება), ვრცელდება საგარანტიო ვადა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვე.

4.2 სტიკერები უნდა იყოს ამინდის მიმართ მდგრადი (არ უნდა გახუნდეს და არ უნდა დეფორმირდეს წვიმიან და მზიან ამინდში), არ უნდა აძვრეს.

4.3 მიმწოდებელმა, საგარანტიო ვადის პერიოდში გამოვლენილი წუნდებული საქონლის შეკეთება/შეცვლა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში (განსაკუთრებულ შემთხვევაში გონივრულ ვადაში).

5. საქონლისა და მომსახურების მოწოდების პირობები:

საქონლისა და მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან **2023 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისად.

5.2 ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების მიწოდება-მონტაჟი უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნისა და სატრანსპორტო საშუალების მიყვანიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.

5.3 მიმწოდებელმა ავტომანქანების დასტიკერება უნდა უზრუნველყოს შემდეგ მისამართზე: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N105.

6. საქონლისა და მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. „შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ზე პასუხისმგებელი პირია სსიპ "საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის" **ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი.**

6.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდგომ.

7. ანგარიშსწორება

7.1. „საქონლის" ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტა - ლარში.

7.2. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება „საქონლის" მიწოდების თაობაზე მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან და „მიმწოდებლის" მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებასთან ერთად, „მიმწოდებელი" ვალდებულია წარმოუდგინოს „შემსყიდველს" საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, „შემსყიდველს" უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

8.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.1.1. უზრუნველყოს ,,შემსყიდველისათვის" „საქონლისა" და „მომსახურების" მიწოდება დროულად და ხარისხიანად.

8.1.2. უზრუნველყოს „შემსყიდველის" მიერ ინსპექტირებისას გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა დაუყოვნებლივ, საკუთარი ხარჯით.

8.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.1.4. „ხელშეკრულების" გაფორმების შემდეგ „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები განახორციელოს ქვეკონტრაქტორის მეშვეობით „შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ამასთანავე, „მიმწოდებელს" უფლება არ აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ, „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს „ხელშეკრულებით" მისთვის მინიჭებული უფლება–მოვალეობანი.

8.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.3. **მხარეთა უფლება:**

8.3.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.3.2. „ხელშეკრულების" ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.3.3. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.3.4. ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულების" მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. „ხელშეკრულება" ცალმხრივად შეწყვეტილად ითვლება, აღნიშნულის შესახებ, „მიმწოდებლისადმი" გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში მითითებული ვადიდან.

9. ხელშეკრულების ინსპექტირება

9.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ „ხელშეკრულების" შესრულების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირ(ებ)ს, ხოლო „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელებაში.

9.2. ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ სამეურნეო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ლაშა ტურაშვილი.

9.3. ინსპექტირების განამახორციელებელი პირ(ებ)ის უფლება-მოვალეობები:

9.4. „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების ხარისხისა და მიწოდების ვადების „ხელშეკრულების“ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლის/ზედამხედველობის განხორციელება და საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის მომზადება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული “შემსყიდველისა” ან/და „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და “საქონლის” მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს “შემსყიდველი” არ არის ვალდებული წარუდგინოს “მიმწოდებელს” რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო „მხარეები“ შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

13.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) „შემსყიდველი“ უფლებამოსილია დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა „მხარეებს“ არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.4. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელზე“ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს „ხელშეკრულების“ ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდა.
13.5. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ს.
13.6. „პირგასამტეხლოს“ გადახდა უნდა განხორციელდეს „მხარის“ მიერ მეორე „მხარისადმი“ გაგზავნილ შესაბამის წერილში მითითებული ვადიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. „შემსყიდველმა” და „მიმწოდებელმა” ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი” და „მიმწოდებელი” ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. „შემსყიდველი” უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
15.2. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს” ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3. „ხელშეკრულება“ აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
16.2. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა განისაზღვრება **2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ “საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“
ს/კ: 205307960
იურიდიული მისამართი:
ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. #144
დაფინანსების წყარო: **სახელმწიფო ბიუჯეტი**
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
შიდა ანგარიში - 200122900
სახაზინო კოდი - 2703030701

დირექტორი
/ალექსანდრე კუტიბაშვილი/

LEPL EMERGENCY SITUATIONS COORDINATION AND URGENT ASSISTANCE CENTER
Digitally signed by LEPL EMERGENCY SITUATIONS COORDINATION AND URGENT ASSISTANCE CENTER
Date: 2023.08.01 10:31:33 +04'00'

მიმწოდებელი
შპს ,,ელიტ კრეატორი“

ს/კ: 402195307
იურ. მის.: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. 55
ტელ: 571 22 02 18; 577 033 735.
ელ. ფოსტა: info@elitecreator.ge
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ: GE68BG0000000525935235

დირექტორი
/ხათუნა ნიკოლაევა/

LTD ELITE CREATOR
Digitally signed by LTD ELITE CREATOR
Date: 2023.07.27 15:59:45 +04'00'

ტექნიკური მოთხოვნები

1.2.1 ცენტრის სარგებლობაში არსებული ავტომანქანების დასტიკერება უნდა მოხდეს შემდეგი ტენიკური მახასიათებლების მქონე სტიკერების გამოყენებით:

1. გარე გამოყენების თვითწებვადი ფირი - (წებო - პოლიაცრილატური გამხსნელის საფუძველზე) ზედაპირების (მათ შორის ავტომობილის) დროებითი დაფარვისთვის:
. სისქე (ქაღალდის გარეშე) – მინიმუმ 80 მიკრონი . თერმომდგრადობა - -20° - +65° C
. მოჭიდების ძალა (24 საათის შემდეგ) მინიმუმ - 14 ნ/25მმ; გახევის სიმტკიცე გრძივი და განივი მიმართულებით მინიმუმ 15მპა;

2. ამრეკლი თვითწებვადი ფირი - (წებო - პოლიაცრილატური გამხსნელის საფუძველზე, მოცილების შესაძლებლობა თერმოდამუშავების შედეგად) ზედაპირების (მათ შორის ავტომობილის) დროებითი დაფარვისთვის:
. სისქე (ქაღალდის გარეშე) მინიმუმ – 90 მიკრონი; თერმომდგრადობა - -20° - +65° C
. მოჭიდების ძალა (24 საათის შემდეგ) მინიმუმ - 14 ნ/25მმ.

1.2.2 ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჯამური რაოდენობა მითითებულია დანართ N1-ში. სულ დასასტიკერებელია 28 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება. აქედან 26 ერთეული საჭიროებს არსებული (ძველი) სტიკერების აძრობას და ახალი სტიკერების დაკვრას.

1.2.3 ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სტიკერების დიზაინის/ზომებისათვის იხილეთ მიბმული დანართები. ყველა აუცილებელი გრაფიკული ელემენტი მოცემულია ფაილში ვექტორული ობიექტის სახით, აღნიშული გრაფიკული ობიექტები უნდა განთავსდეს ავტომობილებზე დიზაინში მითითებულ ზომებში პროპორციების დაცვით.

1.2.4 მოწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს დანართებად წარმოდგენილ ესკიზებს.

1.2.5 სტიკერის გაკვრის შემდგომ, ავტომობილს არ უნდა ეტყობოდეს რაიმე დეფექტური კვალი.

დანართი 2

„ფასების ცხრილი“

N	თვითწებვადი ფირისა და ამრეკლი ფირის ტექნიკური მახასიათებლები	ავტომანქანის მოდელი	ავტოსატრანსპორტო საშუალების რაოდენობა არსებული სტიკერის დემონტაჟის და გაკვრის გათვალისწინებით (ცალი)	ავტოსატრანსპორტო საშუალების რაოდენობა გაკვრის გათვალისწინებით (დემონტაჟის გარეშე) (ცალი)	არსებული სტიკერის დემონტაჟის და ახლის გაკვრის ერთეულის ღირებულება	სტიკერის (მხოლოდ) გაკვრის ერთეულის ღირებულება	არსებული სტიკერის დემონტაჟის და ახლის გაკვრის საერთო ღირებულება	სტიკერის გაკვრის საერთო ღირებულება	სტიკერის მწარმოებელი ან/და ბრენდის დასახელება და სტიკერის წარმოების ქვეყანა
1	1. გარე გამოყენების თვითწებვადი ფირი - (წებო - პოლიაკრილატური გამხსნელის საფუძველზე) ზედაპირების (მათ შორის ავტომობილის) დროებითი დაფარვისთვის: . სისქე (ქაღალდის გარეშე) – 80 მიკრონი . თერმომდგრადობა - -20° - +65° C . მოჭიდების ძალა (24 საათის შემდეგ) - 14 ნ/25მმ; გახევის სიმტკიცე გრძივი და განივი მიმართულებით 15მპა; 2. ამრეკლი თვითწებვადი ფირი - (წებო - პოლიაკრილატური გამხსნელის საფუძველზე, მოცილების შესაძლებლობა თერმოდამუშავების შედეგად) ზედაპირების (მათ შორის ავტომობილის) დროებითი დაფარვისთვის: . სისქე (ქაღალდის გარეშე) – 90 მიკრონი; თერმომდგრადობა - -20° - +65° C . მოჭიდების ძალა (24 საათის შემდეგ) - 14 ნ/25მმ	FORD CUSTOM	7	-	350.00	200.00	2450.00	-	unifol თურქეთი
2		volkswagen T5	15	1	350.00	200.00	5250.00	200.00	unifol თურქეთი
3		volkswagen T6	3	-	350.00	200.00	1050.00	-	unifol თურქეთი
4		volkswagen T6 (არასტანდარტული)	1	-	350.00	200,00	350.00	-	unifol თურქეთი
5		MERCEDES-BENZ SPRINTER	-	1	350.00	200.00	-	200.00	unifol თურქეთი
ჯამი			26	2			9100.00	400.00	
სულ ჯამი							9500.00		

ლურჯი თვითწებვადი ვინილი ეკრობა ყვითელი ვინილის ზემოდან.
გაკვრა იწყება წინა მხრიდან და ყველა ლურჯი კუბიკი (ბოლოს გარდა)
არის 73 სმ. ბოლო კუბიკი იჭრება უკანა სანათის კონტურზე.
ლურჯი და ყვითელი არეები უნდა იყოს თანაბარი სიმღლის

ყვითელი თვითწებვადი ვინილი ეკრობა
მთელს სამონტაჟო ზედაპირზე უკანა სანათიდან წინა კარის ჩათვლით

ლურჯი თვითწებვადი ვინილი ეკრობა ყვითელი ვინილის ზემოდან.
გაკვრა იწყება წინა მხრიდან და ყველა ლურჯი კუბიკი (ბოლოს გარდა)
არის 73 სმ. ბოლო კუბიკი იჭრება უკანა სანათის კონტურზე.
ლურჯი და ყვითელი არეები უნდა იყოს თანაბარი სიმღლის

ყვითელი თვითწებვადი ვინილი ეკრობა
ძრავის საფარის (კაპოტი) მთელს სამონტაჟო ზედაპირზე.



წითელი შუქამრეკლი

ყვითელი თვითწებვადი
ვინილი ეკრობა
საბარგულის მთელს
სამონტაჟო ზედაპირზე.
წითელი თვითამრეკლი
ერთი და იმავე სიგანისა და
დახრილობის.

ყვითელი თვითწებვადი ვინილი ეკრობა
მთელს სამონტაჟო ზედაპირზე უკანა სანათიდან წინა კარის ჩათვლით

ლურჯი თვითწებვადი ვინილი
ეკრობა ყვითელი ვინილის
ზემოდან. გაკვრა იწყება წინა
მხრიდან და ყველა ლურჯი
კუბიკი (ბოლოს გარდა) არის 73
სმ. ბოლო კუბიკი იჭრება უკანა
სანათის კონტურზე.ლურჯი და
ყვითელი არეები უნდა იყოს
თანაბარი სიმღლის

ყვითელი თვითწებვადი ვინილი ეკრობა
მთელს სამონტაჟო ზედაპირზე უკანა სანათიდან წინა კარის ჩათვლით

ყვითელი თვითწებვადი ვინილი ეკრობა
ძრავის საფარის (კაპოტი) მთელს სამონტაჟო
ზედაპირზე.

ყვითელი თვითწებვადი
ვინილი ეკრობა
საბარგულის მთელს
სამონტაჟო ზედაპირზე.
წითელი თვითამრეკლი
ერთი და იმავე სიგანისა და
დახრილობის.



ყვითელი თვითწებვადი ვინილი ეკრობა
მთელს სამონტაჟო ზედაპირზე უკანა სანათიდან წინა კარის ჩათვლით

ლურჯი თვითწებვადი ვინილი ეკრობა ყვითელი ვინილის ზემოდან.
გაკვრა იწყება წინა მხრიდან და ყველა ლურჯი კუბიკი (ბოლოს გარდა)
არის 73 სმ. ბოლო კუბიკი იჭრება უკანა სანათის კონტურზე.
ლურჯი და ყვითელი არეები უნდა იყოს თანაბარი სიმღლის



ყვითელი თვითწებვადი
ვინილი ეკრობა
საბარგულის მთელს
სამონტაჟო ზედაპირზე.
წითელი თვითამრეკლი
ერთი და იმავე სიგანისა და
დახრილობის.

ყვითელი თვითწებვადი ვინილი ეკრობა
მთელს სამონტაჟო ზედაპირზე უკანა
სანათიდან წინა კარის ჩათვლით

ლურჯი თვითწებვადი ვინილი ეკრობა ყვითელი ვინილის ზემოდან.
გაკვრა იწყება წინა მხრიდან და ყველა ლურჯი კუბიკი (ბოლოს გარდა)
არის 73 სმ. ბოლო კუბიკი იჭრება უკანა სანათის კონტურზე.
ლურჯი და ყვითელი არეები უნდა იყოს თანაბარი სიმღლის



ყვითელი თვითწებვადი ვინილი ეკრობა
ძრავის საფარის (კაპოტი) მთელს
სამონტაჟო ზედაპირზე.